ბრძანება:**ბ47. 47252652**
თარიღი:**22/09/2025**

ბრძანება N82

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 26 სექტემბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2025-2029 წლების მუნიციპალური ნარჩენების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

1.2. ინფორმაცია ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მომსახურების კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: ნატო ჯიბუტი

ა(ა)ი.პ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ დირექტორი

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის IV კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი